ხ ე ლ შ კ რ უ ლ ე ბ ა

11/227

ქ. თბილისი 27 ნოემბერი 2015 წ.

ერთის მხრივ შპს "სკს", TNT- ის წარმომადგენელი საქართველოში, მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის 25; ტელეფონი: 291-02-20, მისი დირექტორის ნინო მენთეშაშვილის სახით და მეორეს მხრივ "სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო" მისამართი: დადიანის 13/ტაბიძის 18; ტელეფონი: 0322921946; მისი დირექტორის მურად ხარაიშვილის შემდგომში დამკვეთად წოდებულის სახით შევთანხმდით შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი:

1. დამკვეთი უკვეთავს და შპს "სკს" იღებს ვალდებულებას შეასრულოს შეკვეთა, რომელიც ითვალისწინებს კურიერულ მომსახურებას, დოკუმენტებისა და ამანათების მიღება - გაგზავნაზე, იმ ვადებისა და პირობების შესაბამისად, რომელიც შეთანხმებულია ამ ხელშეკრულებით.

2. შპს "სკს" ვალდებულებას იღებს და დამკვეთი ეთანხმება მიწოდებულ წინადადებას, რაც ითვალისწინებს ტვირთის ტრანსპორტირებას საქართველოდან - იტალიაში. გზავნილის წონა შეადგენს 0,2 კგ– ს, ტრანსპორტირების საფასური შეადგენს 120,00 (ას ოც) ლარს.

დამკვეთის უფლება-მოვალეობანი:

1. დამკვეთი ვალდებულია: წინასწარ შეატყობინოს შეკვეთის არსებობის შესახებ, მიაწოდოს შპს"სკს" – ს ტრანსპორტირებისათვის მზადმყოფი ამანათის ზუსტი მისამართი, რომელიც უნდა შეიცავდეს საფოსტო კოდს, ქალაქის ტელეფონსა და საკონტაქტო პირს.

2. დამკვეთი ვალდებულია იზრუნოს, რომ ტვირთის მიმწოდებელმა შპს"სკს" –ს, ტვირთთან ერთად დროულად მიაწოდოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

3. დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს გზავნილის ღირებულება ანგარიშის წარდგენიდან 7 – დღის განმავლობაში.

4. დამკვეთს შეუძლია დააზღვიოს გზავნილი საკუთარი ხარჯით და მის შესახებ უნდა შეატყობინოს შპს " სკს" – ს.

შპს "სკს" –ს უფლება-მოვალეობანი:

204522

1. შპს "სკს" ვალდებულია აიღოს შეკვეთა დამკვეთთან შეთანხმებულ დროსა და ადგილას. უსწრაფესად და ყველაზე საიმედო გზით მიაწოდოს მიმღებს გზავნილები.

2. შპს "სკს" –მ დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება გზავნილის მოძრაობისა და მიწოდების შესახებ.
3. შპს "სკს" უფლებამოსილია დამკვეთს მოსთხოვოს გადახდა გამოწერილი ანგარიშის შესაბამისად კონტრაქტში მითითებული ვადების გათვალისწინებით.
4. შპს "სკს" ვალდებულია შეატყობინოს დამკვეთს ნებისმიერი ცვლილების შესახებ ფასების მიწოდების ვადებისა და პირობებთან დაკავშირებით, არაუგვიანეს 30-დღისა, სანამ ეს ცვლილება შევა ძალაში.

ფორს-მაჟორული პირობები:

1. ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ასეთს ექნება ადგილი დაა ისინი აფერხებენ ხელშეკრულების პირობების შესრულებას (ხელისუფლების მოქმედება, ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი, ბლოკადა და ა.შ.) ხელშეკრულების მოქმედება ჩერდება ზემოთ აღნიშნული მოვლენების ლიკვიდაციამდე.

ხელშეკრულების მხარეები:

შპს "სკს"	*სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო*
მისამართი: აღმაშენებლის გამზ. №25; ტელ: 910220; ს/კ 204885810 საბანკო რეკვიზიტები: "თი-ბი-სი" –ბანკი: ცენტრალური ფილ. ბ/კ: **TBCBGE**22 ა/ა:**GE47TB060000000**22467240 დირექტორი : ნ. მენთეშაშვილი	მისამართი: დადიანის 13/ტაბიძის 18 ტელ: 0322921946 ს/კ საბანკო რეკვიზიტები: "სახელმწიფო ხაზინა" ბ/კ TRESGE22 ა/ნ GE24NB0330100200165022 დირექტორი: მურად ხარაიშვილი

204885810 "ICS" LTD

204522793